პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 19 აგვისტო № 193 (16933) ფასი 2 კაპ. 1977

ტემპიც, ხარისხიც, მეჩაიეებო!

400.000 ტონა ჩაისათვის!

აგვისტო ჩაის კრეფის გადამწყვეტი თვეა

ვკრიფოთ შეუფერხებლად, არ გავაუხეშოთ ჩაის ფოთოლი!

ჩაის ფოთლის კრეფა 18 აგვისტოსათვის (ტონობით)

სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ოპერატიული ცნობები

ავტონომიური რესპუბლიკები, რაიონები	ვალდებულება (წლის)	მოკრეფილია	პირველი ხარისხის ფოთოლი (პროცენტობით, 17 აგვისტისათვის)
აფხაზეთის ასსრ	75.000	63.975	73,6
აჭარის ასსრ	55.500	47.992	72,6
მახარაძე	70.000	58.867	71,6
ზუგდიდი	54.000	44.498	71,4
წალენჯიხა	25.500	20.659	69,9
გეგეჭკორი	21.000	16.920	72,6
ლანჩხუთი	19.000	16.898	71,4
ჩხოროწყუ	18.500	15.655	72,2
ჩოხატაური	11.000	9.690	74,4
წყალტუბოს ზონა	10.500	8.501	75,1
ცხაკაია	9.800	7.983	73
ტყიბულის ზონა	8.800	7.681	74,8
ხობი	8.000	7.079	75,4
წულუკიძე	8.000	6.446	68,2
სამტრედია	2.500	2.016	70,5
თელავი	1.050	965	74,7
ჭიათურის ზონა	980	694	78
აბაშა	900	696	64,7
ვანი	630	548	75,1
სულ	400.600	337.708	72,2
მათ შორის ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში	80.000	70.200	—

დამთავრდა სსრ კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება

18 აგვისტოს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ ტიტოს მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. სტეპანოვი;

იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომის მდივანი ს. დოლანცი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩერნოგორიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. მილატოვიჩი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს თავმჯდომარის მოადგილე, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი მ. მინიჩი, მდივანი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომში ა. გრლიჩკოვი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი ე. ლუდვიგერი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. ხმოლე.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც შეგობრობისა და ამხანაგური ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, გრძელდებოდა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყოვლისმომცველი მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარების და გაღრმავების საკითხების განხილვა.

განიხილეს აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, რომლითაც გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, დაძაბულობის კერების და კონფლიქტური ხიფათიანობის ლიკვიდაცია. განიხილეს მსოფლიოში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების მიზნით მთელი პროგრესული ძალების ურთიერთმოქმედების განმტკიცების შესაძლებლობანი. აღინიშნა, რომ საჭიროა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის ოქმოქმედთა თანაშემდეგრული რეალიზაცია, რათა კონტინენტზე შეიქმნას კონფრონტაციისა და ომის საშინელებისგან თავისუფალი თანამშრომლობის ვითარება.

გადაწყდა აზრთა გაზიარება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთ საკითხზე.

მხარეებმა ბმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკებისა და მისი შედეგების გამო.

მოლაპარაკების შედეგების შესახებ შეთანხმებულია საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ერთობლივი კომუნიკე. (საკვლევი).

დაესწრნენ კონცერტს

18 აგვისტოს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ი. ბროზ ტიტო სახელმწიფო ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში დაესწრო საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა კონცერტს.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ დარბაზში ი. ბროზ ტიტოსთან ერთად იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, მ. ს. სოლომენცევი, კ. ვ. რუსაკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. სტეპანოვი.

კონცერტს დაესწრნენ აგრეთვე ი. ბროზ ტიტოს თანმხლები იუგოსლავი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, საბჭოთა და იუგოსლავი ოფიციალური პირნი.

კონცერტის დაწყების წინ შესრულდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკვლევი).

18 აგვისტო

„პრავდის“ ფურცლებზე

წახალისების ქმედითობა

წახალისების ქმედითობა უფრო მაღალია იმ საწარმოებში, სადაც მუშაობის, შეჯიბრების შედეგების განხილვაში მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ყველა მშრომელი, ნათქვამია მოწინავეში („წახალისების ქმედითობა“). ახლახან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება მეათე ხუთწლეულში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ. დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს მოეთათ სახსრები პრემიებისათვის, გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად სამახსოვრო სგნოებრივების შეძენისათვის. საჭიროდ არის მიჩნეული ამაღლდეს მორალური სტიმულირების მნიშვნელობა, უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული თითოეულის წვლილი კოლექტივის წარმატებაში და არ დაუშვებ გამთანაბრებელი მიდგომა. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავთავიდან უნდა განმარტონ სიახლის არსი, რომლის მიზანია შეჯიბრებაში მორალური და მატერიალური სტიმულების როლის გაძლიერება. ამასთანავე უნდა იყოს ადეკვატური ეკონომიკური სამსახურების საწარმოთა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა წახალისების პროგრესული სისტემების დანერგვისათვის.

გაზეთის პირველ-მეორე გვერდებზე გამოქვეყნებულია სსრ კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების მასალები. პირველსავე გვერდზე მკითხველი გაეცნობა სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვას — „აგვისტო აჩქარებს მხვნელ-მთესველებს“.

რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის“ წარმოდგენილია ი. ბაკლაგინის წერილით „ვინ იქნებიან მემკვიდრენი?“, ხოლო რუბრიკა — „მართვა: მეცნიერება და პრაქტიკა“ — ი. ზახაროვის და ნ. პეტროვის სტატიით — „ხვეტლანახ“ შუქი“. პედაგოგი ი. ბოგინსკი მკითხველს ესაუბრება აოზრიდის საკითხებზე („მერხს მოზრდილები უსხედან“). ეს წერილი გამოქვეყნებულია რუბრიკით — „ხასწავლო წლის წინ“. ყველა ამ მასალას გაზეთის მესამე გვერდზე წაიკითხავთ.

მეოთხე გვერდი დათმობილი აქვს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვას — „ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი“. მეხუთე გვერდი — საერთაშორისო ინფორმაციის, ბოლო მეექვსე — საკავშირო და სპორტულ მასალებს.

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

რთველი ვარკეთილში

ვარკეთილის ლენინის ორდენოსან მეკენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში რთველი დაიწყო.

ვარკეთილელებს გადაწყვეტილი აქვთ შემდინარე წელს მოკრიფონ 2.300 ტონა ყურძენი, 2.500 ტონა ჭლიავი, ვაშლი, ატამი, მხხალი და სხვა ხილეული.

საბჭოთა მეურნეობა ხელით ამარაგებს თბილისს, რუსთავს, სოხუმს, ბათუმს, გაგრასა და ბორჯომს.

სურათზე: (წინა პლანზე) მეურნეობის უფროსი აგრონომი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ჩხეიძე და მეკენახეობის მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი რ. ბურჯანაძე ამოწმებენ ახალი მოსავლის ყურძნის ხარისხს.

ფ. პრისმსპის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გრაფიკს გაუსწრეს

ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის საკორპუსო საამქრომი მინიმუმამდე შეამცირეს წუნდებული პროდუქციის გამოშვება და შრომის დისციპლინის დარღვევა. ამას იმით მიაღწიეს, რომ ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის, მოწყობილობის მოცდენების შემცირებისათვის. საამქროს მოწინავე ბრიგადები, რომლებსაც ნ. ბუკია, კ. მიმინოშვილი, რ. ჯიქია ხელმძღვანელობენ, გრაფიკის გასწრებით შრომობენ. ახლა აქ ამონტაჟებენ მოწასაწოვი მანქანების კორპუსების აწყობისა და ელექტროშედუღების ნაკადური ხაზს, რაც გაუმჯობესებს შრომის პირობებს და თითქმის ერთიორად გაადიდებს მის ნაყოფიერებას. (საქინფორმი).

ზეგეგვითი...

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ყოველდღიურად 1.000 მანეთის ზეგეგმითა პროდუქციაა! — ამ დეგიზით დაიწყო მუშაობა აგვისტოს პირველი რიცხვებიდან სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა.

— საწარმოს მშრომელები, — თქვა საუბარში ფაბრიკის დირექტორმა რ. სალაძემ, — ყოველმხრივ ეცდებიან, რომ არ წარმოიშვას მუშაობაში ხელისშემშლელი სუბიექტური მიზეზები, აუცილებლივ უზრუნველყოფთ მომარაგება-გასაღების რიტმულობას და საკუთარი წელს შესაფერისად ვიშრომებთ.

ფაბრიკაში ასობით შრომის ნოვატორია. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ იმ ბრიგადებს, რომლებსაც მზეევანარ ნაფიშვილი, ლალი ღიბარაძე, ნესტანა ნოდია ხელმძღვანელობენ.

ამაყობენ აქაური მკერავები. მათ ნახელავ მამაკაცის ბამბეულის შარვალს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. ახლა ყოველდღიურად იზრდება მისი გამოშვება და დავალებებიც გადაჭარბებით სრულდება.

ძმური შეხვედრა

17 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურ მდივანს ა. კუნიალს, რომელიც საბჭოთა კავშირში ესტუმრნენ.

ალვარო კუნიალმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან პორტუგალიელი კომუნისტები ქვეყნის მშრომელთა ეკონომიკური და სოციალური ინტერესებისა და დემოკრატიული უფლებებისათვის, პორტუგალიელი ხალხის, დემოკრატიული წყობილების მონაპოვართა დასაცავად, მშვიდობის მოყვარული საგარეო პოლიტიკისათვის და დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისათვის. საბჭოთა კავშირის წარმატებანი ეკონომიკურ მშენებლობაში, სოციალისტური დემოკრატიის თანმიმდევრული განვითარება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის ფასდაუდებელი წვლილია მთელი პროგრესული ძალების ბრძოლაში მშრომელთა და ხალხთა ინტერესებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა ა. კუნიალს გაანალა აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეწევა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, რომელსაც საბჭოთა ადამიანები იჩენენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის წელს და ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღეს, როცა მსოფლიოში ახალი იარაღის მეშვეობით ცდილობენ გამალებული შეიარაღების შემდგომ დაჩქარებას, როგორც ომსდროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მთელი დემოკრატიული ძალების ბრძოლას სოციალური პროგრესისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, უშიშროებისა და ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ყველა საბჭოთა კომუნისტის სახელით ღრმა სოლიდარობა გამოუცხადა ბრძოლას, რომელსაც თანმიმდევრულად ეწევა პორტუგალიის კომპარტია მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, პორტუგალიის იმ გზით განვითარების გაგნგრძობისათვის, რომელიც ქვეყანას 25 აპრილს რევოლუციამ გადაუშალა.

შეხვედრაზე, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძმური მეგობრობის სულისკვეთებით ჩაიარა, დაფასტურდა ყველა განსახილველი საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობა.

შეხვედრას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაპალადინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი.

რთველი კარზეა, როგორ მოემზადეთ?

ეკონომიკა

გეკლეკ დავემარცხეთ

ოდესაც უდაბნოდ ქცეული შირაქის და ხილიჩის ველები ახლა ზემო ქედის, არხილოსანოსა და ქვემო ქედის ბაღ-ვენახებით არის დამშვენებული.

სანიმუშოდ მოვალილი ვენახები აქვთ იმ ბრიგადებს, რომლებსაც ელგუჯა ზაქაიძე და ივანე ქურციკიძეული ხელმძღვანელობენ. ისინი ჰექტარზე საშუალოდ 100-120 ცენტნერ ყურძენს მოელიან.

ცხარე დღეები აქვთ ახლა მევენახეებს. მოძალებულ გვალვას ებრძვიან. ვენახებიდან არ გამოდიან. მართლაც ამდენი წამლობა, ფურნა, ჯილტვიცია ჯერ არ ჩაგვიტარებია. ნიადაგის ზედაპირი ისეა გაფხვიერებული, რომ ტენს აორთქლებს საშალება აღარ ეძლევა. გვალვამ უკან დახია.

ამას წინათ, ვენახების დათვალიერებაზე ჩვენს კოლეგიურნეობას რაიონში პირველი ადგილი მიაკუთვნეს. ეს უფრო მეტს გვავალებს.

რთველი, რომ იტყვიან, კარზეა მომდგარი, დღეში საშუალოდ 200-300 ტონა ყურძნის კრეფა, რაც ჩვენ მოგვიწევს, ხუმრობა საქმე რადაა. ამ საქმეში ჩავაბამთ სოფლის მთელ ძალებს. შეგვიფერხებს მხოლოდ ტრანსპორტის სიმცირე. თუ დამატებით გამოგვიყოფენ 20 თვითსაცლელ ავტომანქანას, რთველს ორ კვირაში დავამთავრებთ, სამშობლოს დავუმზადებთ 3.500 ტონა ყურძენს, 1.000 ტონით მეტს. ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ა. კობაიძე,
წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

მეფუძავე სიგნალი

მოურწყავი ვენახები და უმოქმედო წყალსატუმბავები

ნიადაგის რწყვა რომ მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი რეზერვია, ამაზე ჭკუის სწავლება არავის სჭირდება, მაგრამ ახლა ამაზე კი არა, მეენარის გადარჩენაზეა ლაპარაკი. აგვისტოს მეხუნვარე მზემ, მაწა ისე გამოაშრო, რომ მცენარეები სულს დაფავენ. ყველაზე მეტად მრავალწლიან ნარგავებს უჭირს. ჭანება და ხმები მევენახის ნაამაგარ ვაზი და ყურძენი.

დაიწვა ყველაფერი! — ამაოდ ასასვლავებს ხელებს ზოგიერთი ვაიზელმადიანელი და ყველაფერს მზეს აბრალებს. სწორედ ასეთებზეა ნათქვამი ხალხური ანდაზა: „შენს ბოსტანში მოსავალი არ მოიგდა. მზეს კი არა, შენს თავს დაბრალეთ“. სხვას რას უნდა მივაწეროთ, თუ არა უდარდელობას, უყაირათობას, რომ რაიონში დავეგმენილი 7.725 ჰექტარიდან ნახევარი ფართობიც არ არის მორწყული. წყლის რესურსებსა და სარწყავ ტექნიკას სათანადოდ არ იყენებენ სოფლების ბოდბის, მაღაროს, ანაკის, ვაქირის და სხვა მეურნეობები.

რა ენაღვლებათ ვაქირის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ნაცვლიშვილი) მესვეურებს, 250 ჰექტარიდან მწოლოდ 70 ჰექტარია მორწყული. არც კულტივაციაზე და თოხნაზეა შეუწუხებიათ თავი. ყურძენი კი არა, ზოგან ვაზიც აღარ ჩანს ბალახში.

ვენახის ფართობის თითქმის ერთი მესამედი, განსაკუთრებით ახალშენები, მოურწყავია ხარისხ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ბ. დავითაშვილი)

ფრეგატების საეჭპლოატაციო სამმართველოს სპეციალისტების უდარდელობის შედეგად სარწყავი აგრეგატი უმტკივნეულოდ არის გაჩერებული ჯუვაანის კოლმეურნეობაში, რის გამოც 250 ჰექტარი ნათესი თითქმის გადამმხმარია. მეფრეგან მეუფსრიგიელია სარწყავი არხების წყალგამშვები მოწყობილობა.

ახლა ასეთ პირობებში სხვას რას უნდა მივაწეროთ, თუ არა გულგრილობას, რომ რაიონში უმოქმედოდ დგას თხუთმეტი სხვადასხვა მარკის მოძრავი და სტაციონარული წყალსატუმბავი.

ბოდბისა და ულიანოვკის კოლმეურნეობების ვენახებს კარგახანია გვალვამ ხელი დაატყო, მაგრამ ლამის წყალსატუმბავი მხოლოდ რამოდენიმე დღეა ამოქმედდა.

რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობით ვერც ჩვენ, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი და ადგილებზე ხელშემწყობი ჯგუფების წევრები ვიმართლებთ თავს. თუმცა ვგიან. მაგრამ ღრმად ვსწავლობთ ჩვენ ამ ხაკითხს და დავსახავთ სათანადო ღონისძიებებს, უმოქმედოდ არ დარჩება არც ერთი სარწყავი აგრეგატი, არც ერთი პეშვი წყალი.

რ. ფიროსმანაშვილი,
სიღნაღის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ატომური ყინულმჭრელი „არქტიკა“ ჩრდილოეთ პოლუსზე!

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო გამარჯვება

ჩრდილოეთი კოლუსი, ატომური ყინულმჭრელი „არქტიკა“, 18 აგვისტო (საკვლევი სპეც. კორ.). 17 აგვისტოს 04 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით ატომურმა ყინულმჭრელმა „არქტიკამ“ ჩრდილოეთ პოლუსის გეოგრაფიულ წერტილს მიაღწია. ნაოსნობის მთელი ისტორიის მანძილზე ხომალდმა პირველად დაძლია ცენტრალური პოლარული აუზის მძლავრი ყინულის საფარი და აქტიური ნაოსნობით მივიდა დედამიწის სფეროს უმაღლეს წერტილში. ახლა მეზღვაურთა და პოლარულ მკვლევართა ბევრი თაობის საუკუნოვანი ოცნება!

მსოფლიოში უმძლავრესი ყინულმჭრელი ხომალდის მაღალი განვითარება ჩრდილოეთ პოლუსზე სსრ კავშირის ალმით საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი თვალსაჩინო გამარჯვებაა. ეს მოწმობს საბჭოთა ხომალდმშენებლობისა და საზღვაო ფლოტის ტექნიკურ ძლიერებასა და სრულყოფას. ყინულოვანი ნაოსნობის მეცნიერული, ტექნიკური და სანავიგაციო უზრუნველყოფის მაღალ დონეს, ატომმავალის ეკიპაჟის გამოცდილებას, ოსტატობასა და ვაჟკაცობას.

მეზღვაურები, მეცნიერები, მფრინავები — ნაოსნობის მონაწილენი თავიანთი გამარჯვებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს უძღვნიან. ამის შესახებ მაღალი განდიდის ლაშქრობის ხელმძღვანელებმა — სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრმა ტ. ბ. გუფენკომ და ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ კაპიტანმა ი. ს. კუჩიევმა ხომალდიდან პატაკი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად ჩრდილოეთ პოლუსის გეოგრაფიული წერტილის გრენაში ჩაუშვეს სამახსოვრო ლითონის დოფა, რომელზეც გამოხატულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი. წარია ხომალდის სახელი, კოორდინატები და წყალზედა ხომალდის მიერ პოლუსის დაპყრობის თარიღი — 1977 წლის 17 აგვისტო.

ატომური ყინულმჭრელი „არქტიკა“ განაგრძობს ნაოსნობას დახახლილი კურსით.

18 აგვისტოს

ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში გაიხსნა ფ. ე. ძერჟინსკისადმი მიძღვნილი გამოფენა

11 სექტემბერს სრულდება 100 წელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და უახლოესი თანამოსაგრის, კომუნიზმისათვის მეზნეგარე მებრძოლის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის დაბადებიდან. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში.

ექსპოზიცია აშუქებს ფ. ე. ძერჟინსკის მრავალსახრივ დაუღალავ რევოლუციურ მოღვაწეობას, რომელისთვისაც იგი მეფის თვითმპყრობელობის პირობებში ექვსჯერ დაუპატიმრეს, ორჯერ კატორღა მიუსაჯეს, თორმეტი წელი დაყო პატიმრობაში.

სტენდზეა ფ. ე. ძერჟინსკის გულში ჩამწვდომი სიტყვები: „მეუთვედ ვხვდები ციხეში ახალ წელს... აქ, პატიმრობაში ხშირად ძალიან მძიმეა ყოფნა, ზოგჯერ საშინელიც... და მაინც, თავიდან რომ მომხდეს სიცოცხლის დაწყება. ისევე დავიწყებდი, როგორც დავიწყებ. და ამას მოვალეობის გამო როდი გავაკეთებდი, ეს ჩემთვის ორგანული მოთხოვნილებაა“.

მასალები ასახავენ ფ. ე. ძერჟინსკის იხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენებს. მის პირველ შეხვედრას ვ. ი. ლენინთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის IV ყრილობაზე; დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოშზადებისა და განხორციელების დროს ფ. ე. ძერჟინსკი არჩეულ იქნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო რევოლუციურ ცენტრში. 1917 წელს საბჭოების II ყრილობაზე მას ორჯერ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

დოკუმენტები თალიქს ედმუნდის ძეს წარმოვეიდგენენ ჯერ როგორც სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელს, შემდეგ კი სსრ კავშირის სახალხო კომისარიატ საბჭოსთან არსებული გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელს. ექსპოზიცია გვაცნობს მის დაუღალავ მოღვაწეობას სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წლებში.

1921 წლის აპრილში ფ. ე. ძერჟინსკის გზათა სახალხო კომისრის პოსტზე ნიშნავენ და ამავე დროს იგი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტებზეა. ექსპოზიცია მოგვითხრობს მის დიდ შუშაობაზე, რომელიც მან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საპატიო პოსტზე ყოფნის დროს გასწია.

ექსპოზიციაშია აგრეთვე ფ. ე. ძერჟინსკის ნაწარმოებები. გამოფენა ნათლად წარმოგვიდგენს რევოლუციის უშიშარი რაინდის, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის, ჭეშმარიტი ჰუმანისტის ნათელ სახეს.

...მეზღვეშმი ეს-ეს არის ახალგაზრდების დიდი ჯგუფი მოვიდა. ისინი ინტერესით ეცნობიან რევოლუციის უშიშარი რაინდის ცხოვრებას.

— ყოველდღიურად უამრავი დამთვალიერებელი მოდის, — ამბობს მუზეუმის ექსკურსიოვრის გამგე ძს. ძორიძე, — ექსპოზიცია დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დიდი პატივით და სიყვარულით ეპყრობა რევოლუციურ ტრადიციებს, სურვილი აქვს იშრომოს, იცხოვროს მამა-პაპათა მაგალითზე.

ექსპოზიციას დამთვალიერებლებს აცნობენ მუზეუმის საუკეთესო ლექტორები მ. ცხვედიანი, ნ. ავალიანი, გ. სიხარულიძე, რ. აკოფოვა, მ. ჯაფარიძე, ნ. შარიქაძე და სხვ.

რევოლუციის რაინდის ცხოვრების ამსახველი გამოფენა სსრ ენციკლოპედიაში არის გაფორმებული. (საქინფორმი).

ეროვნული ფეხბურთი

ბაკურიანი — ბორჯომი 2:0

ბაკურიანი, 18 აგვისტო. (ბ. ბ. ბ.

60

გაუმოცდილებაა, პროგლემები

თაოსნობის, სიახლის ფასი

დუშეთის რაიონის მაღალმთიან მხარეში—ფშავში, ხევსურეთში, გუდამაყარსა და მთიულეთში, ბარის ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ნოლაის უკიდეგანო ტრამალებში — ყველგან. სადაც მთიელებს თავიანთი წელილი შეაქვთ მიათი ხუთწლედის დაჯილებათა წარმატებით განაღოიბაში, გულმოდგინებით განხილაენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. საყოველთაო განხილვის ამ დღეებში, განსაკუთრებული ძალით გაისმის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულშიჩამწვდომი სიტყვები. რომ „ხალბჭოთა ადამიანი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია. იგი საზოგადოების ძალიერებისა და სიმდიდრის ერთადერთი შემოქმედია. ჩვენში ხალხის გარდა არავის არ მიუწვდება ხელი საზოგადოებრივ შრომის ნაყოფზე. მაგრამ არც ჩვენს მაგიერად იშრომებს არავინ. ეს ნიშნავს, რომ ყოველმა ჩვენგანმა ისე უნდა იმუშაოს, რომ შემდეგ საკუთარი თავის არ შეგვრცხვეს, შვილიძლს ალალი გულით გავუსწოროთ თვალი ამხანაგებს“.

და აი ჩვენს ადამიანებს არ ავიწყდებათ, რომ კონსტიტუციით მინიჭებული შრომის უფლება განუყოფელია შრომის მოვალეობისაგან. რომ ყველა მოქალაქე ვალებულია თავისი წვლილი შეიტანოს საპალხო დოვლათის დაგროვებაში.

ამის საუკეთესო დასტურია ის განსაკუთრებული შრომითი ენთუზიაზმი, აღმავლობა და თავდადება, რასაც დუშელები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით კი მეცხოველეობის შემდგომი წინსვლისათვის ბრძოლაში იჩენენ. ყველაფერში, რაც კი სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული, ნათლად ჩანს, რომ ადამიანების გულთან ახლოს მიაქვს მშობლიური პარტიის ყველა მოწოდება.

რას აკეთებენ კონკრეტულად ჩვენი მეცხოველეები, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ მეცხოველეობის პროდუქტებით რესპუბლიკის მოსახლეობის უკეთ დაკმაყოფილების საქმეში.

როგორც ცნობილია, დუშეთის რაიონმა შარშან მეცხოველეობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

ეს ჯილდო, ცხადია, ბევრს ეუალებს ჩვენი რაიონის კომუნისტებს, სოფლის მუშაკებს.

მეცხოველეთა წინაშე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მიერ დასახული ამოცანები რაც შეიძლება მალე და წარმატებით რომ განვახორციელონ, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრათ მტკიცე საკვები ბაზის პრობლემა, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია როგორც საზოგადოებრივი, ასევე საკრძალვამო მეცხოველეობის განვითარება. აქ, ისევე როგორც ყველა სხვა საქმეშიც, დიდი მნიშვნელობა აქვს თაოსნობასა და სიახლეს.

თუ როგორია წარმოებაში სიახლის, ყოველგვარი პროგრესულის დანერგვის ფასი, ამას თვალნათლივ მოწმობს ჩვენს მეურნეობებში უხვი საკვების შემზადება ჩვენთვის ახალი მეთოდის გამოყენებით, რომელსაც პირველად მჭადიჯრის საბჭოთა მეურნეობაში და ბაზალეთის კოლმეურნეობაში მოკიდეს ხელი. ახლა ამ მეთოდმა მთებშიც გადაინაცვლა — ფასანაურის კოლმეურნეობაში უბრალო ნამჯისაგან შეა ზამთარში 50 ტონა „სალოშნაური“ შეამზადეს და ამით გაზარდეს საკვების უუთიანობა. მათ მაგალითს ანანურელებიც მიჰყვნენ.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საკვებმოპოვების საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებამ, რომელიც შარშან შემოდგომაზე ნოლაეთის ზამთრის საძოვრებზე შექმნილი. ცნობილია, რომ ჩვენი რაიონის მეურნეობები 'კასპისპირეთის ზამთრის საძოვრებზე ყოველწლიურად აგზავნიან დიდი რაოდენობის უხეშ საკვებს, რაზედაც დიდძალი თანხები იხარჯება. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. ახლადშექმნილი გაერთიანება აღჭურვილია მძლავრი ტექნიკით. მის განკარგულებაშია 15 ტრაქტორი, 13 ავტომანქანა, 15 სათიბი აგრეგატი, ექსკავატორი, თივის შესაგროვებელი, თივის საწნეხი... მან ყოველწლიურად უნდა დაამზადოს 15 ათასი ტონა თივა. ბუნებრივი თივა გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე ნამჯის შეტანა. გაერთიანების მოგება შემდგომში განაწილდება მასში შემავალ მეურნეობებზე, გაერთიანებას ეყოლება მერძეული პირუტყვი და მეხორცული ჯიშის ცხვარიც.

საკვების ყველაზე დიდ რეზერვს წარმოადგენს მთის საძოვრები. მაღაროსკარის ეაფა-ფშაველას სახელობისა და ქართლის კოლმეურნეობებმა თავის დროზე დიდი შრომა გაწიეს, რათა მთებში გაეყვანათ საავტომობილო გზები. ახლა ისინი საკვებს უშუალოდ მთის სათიბებში ამზადებენ და თივას ფერმებში ავტომანქანებით ეზიდებიან. საკვების პრობლემა მთლიანად რომ გადავჭრათ, დიდი ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ საკვები კულტურების მოსავლიანობის ასამაღლებლად, მდელოებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად, ასევე უნდა დავაჩქაროთ საკვების გადამუშავებისა და გამოყენების თანამედროვე ტექნოლოგიაზე გადასვლა.

საკვები ბაზის შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს საავტომობილო გზების მოყვანას უშუალოდ მაღალმთიან სათიბებთან. ეს სამუშაო მიმდინარე ხუთწლედშიც გაგრძელდება, ამასთან გაკეთდება საბაგირო გზები, რაც საშუალებას მოგვცემს მთის სათიბებიდან, რომელიც ზოგჯერ მიუდგომელია, ჩამოვიტანოთ თივა.

ხუთწლედში რაიონის კომუნისტები, მშრომელები მეტად სასტიკი და სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. მაგალითად, **1980 წლისათვის თითოეულ ძროხაზე უნდა მივიღოთ**

ჰექტარის რაიკომი და ხორცის წარმოების რეზერვები

1.800 კილოგრამი რძე, თითოეულ ცხვარზე — 2,7 კილოგრამი მატყლი, ერთ კვერცხმდებელზე — 145 კვერცხი, სახელმწიფოს უნდა მივყიდოთ 3.100 ტონა ხორცი, 7 ათასი ტონა რძე, 360 ტონა მატყლი, 6 მილიონ 800 ათასი კვერცხი. ამოცანა რთული, დაძაბული შრომას მოითხოვს, მაგრამ ის უდიდესი პასუხისმგებლობა და შრომითი ენთუზიაზმი, რასაც ჩვენი კომუნისტები, მშრომელები იჩენენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მიმართ, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ამ ძნელ დავალებას წარმატებით გადავჭრით.

რით ვაპირებთ დასახული ამოცანების განაღდებას? ჯერ ერთი, განზრახული გვაქვს მნიშვნელოვნად გავადიდოთ პირუტყვის სულადობა. 1980 წლისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზრდება 13.400-მდე, მათ შორის ძროხებისა — 4.600-მდე, ცხვრის სულადობა გაიზრდება 120 ათასამდე, დედაცხვრისა — 78 ათასამდე. იმატებს აგრეთვე ღორისა და ფრინველის სულადობა. მთავარი ყურადღება დაეთმობა მეცხოველეობის სპეციალიზაციის, ინტენსიფიკაციას, პირუტყვის ჯიშიანობის გაუჯობესებას.

პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის მჭადიჯრის საბჭოთა მეურნეობამ უკვე შეიძინა შვიცის ჯიშის დეკეულები, ფრანგეთიდან მალე ნამატს მოგვცემენ. ჩვენთან რამდენიმე წელიწადია, რაც დაიწყო და კვლავ გრძელდება თუშური ცხვრის ფარების შექმნა და მისი შემდგომი დახვეწა. **ყველამ იცის, რომ თუშური ცხვარი ეკუთვნის პირუტყვის იმ კლასიკურ ჯიშს, რაც ჩვენს წინაპრებს საუკუნეთა მანძილზე უმარავლებიათ. მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში, განსაკუთრებით ჩვენს რესპუბლიკაში, ამტანობით და პროდუქტიულობით მას ბადალი არ ჰყავს.**

თუშური ცხვრის მომრავლების ინიციატორები არიან ფასანაურელი მეცხვარეები, ახლა მათს მაგალითს მიბაძეს გუდამაყრელებმა. იმედია, მალე რაიონის ცხვრის სულადობის საერთო რაოდენობაში დიდ ადგილს დაიკავებს თუშური ცხვარი. ეს, რა თქმა უნდა, დიდად გაზრდის მატყლისა და ხორცის წარმოებას. 1980 წლისათვის ბაზალეთის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ექსპლოატაციაში შევა საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის კომპლექსი 800 ძროხისათვის, მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეღორეობის კომპლექსი, სადაც წელიწადში 2 ათას ღორს გაასუქებენ, გაისად დაიწყება მეფრინველეობის რეპროდუქტორის მშენებლობა 30 ათას კვერცხმდებელზე.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავამყარეთ მტკიცე წესრიგი პირუტყვის ხელოვნური დათესვლისა და სანაშენე საქმის ორგანიზაციაში. სამწუხაროა, ფფრო მეტი რაოდენობით გამოვზარდოთ საკუთარი წარმოების მაღალპროდუქტიული მოზარი, მარტო შემოყვანილი პირუტყვით შორს ვერ წავალთ. გამოაკეთრებული ყურადღება უნდა მიეცეს **ხევსურული პირუტყვის მოგრავლებას,** რომელიც სატკეთესოდ არის შეგუებული შთის პირობებს და იძლევა ბევრ და მაღალცხიმიან რძეს.

მოგახსენებთ ერთ სიახლეზე, რომელიც, ვფიქრობთ, დაიანტერესებს სხვა რაიონების მეცხვარეებსაც. დუშეთის საბჭოთა მეურნეობაში შარშან ვამრავლებისათვის ოჯარგისი 300-მდე ნერბი გამოიფენის და ხელოვნურად დათესლეს ყარაკულის ყოჩებით. ამ ცხვრებს შეექმნებს კვებისა და მოვლა-პატრონობის ნორმალური პირობები, მოგვებამდე 20 დღით ადრე დაალეს და ჯერ დაობადებული ბატკნებიდან საუკეთესო ხარისხის ყარაკულჩას ტყავი მიიღეს. ამ გზით 300 სული ცხვრიდან მიღებულია 252 ყარაკულჩას ტყავი და დიდძალი ხორცი. თითოეული დაკლული ცხვრის საშოალო წონა 32 კილოგრამზე მეტს შეადგენდა. წინასწარი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხორცის და ძვირფასი ტყავის წარმოების ეს რეზერვი მიტად ხელსაყრელია და დიდ მოგებასაც იძლევა.

როგორც აღვნიშნეთ, რაიონის მშრომელებს საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარების დიდი ტრადიციები აქვთ. შარშან, მაგალითად, რაიონის მოსახლეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 3.040 ტონა ხორცი. წლეულს ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ძნელია წარმოიდგინოთ კაცი, რომელიც სოფლად ცხოვრობს და პირუტყვი არ ჰყავს. ცოტა უხერხულიც არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ რაიონში სოფლად მცხოვრები 10.323 კომლიდან პირუტყვი არ ჰყავს 2.671 კომლს, ამიტომაც, თითოეული მოწინავე ადამიანის მოვალეობაა გაიყოლიოს თავისი მეზობლები, თანამოსაქმენი, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებთან ერთად, ხორცის წარმოების მნიშვნელოვან კერად გადავაქციონ თავიანთი ბინადარი მეურნეობები.

ხორცის წარმოების გადიდებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია სამომხმარებლო კოოპერაციას, მოსწავლე ახალგაზრდობას. პატრიოტული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ღვიძილი საქმეა მოსახლეობისათვის მოსაშენებლად ჯიშიანი პირუტყვის მყოფადის ორგანიზაცია, საკარმიდამო მეცხოველეობის სანმაოშო ზოოვეტმომსახურების უზრუნველყოფა.

ვიდრეამდე პარტიული ორგანიზაციებისათვის, ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივისათვის ამიმად არ არსებობს იმაზე საპატიო და საბრძოლო ამოცანა, ვიდრე მეცხოველეობის აღმავლობაა. ამ მიზნის უნდა ემსახურებოდეს, კერძოდ, პარტიული მუშაობის მრავალფეროვანი ფორმა და მეთოდი, მასების თაოსნობისა და სიახლის დანერგვის მთელი ენერგია.

ჩვენ შეგაჯამეთ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგები, რომლებიც რაიონის მეცხოველეთა დიდ გარჯაზე მეტყველებენ. გადაჭარბებით არის შესრულებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხების, ცხვრისა და თხის, ღორისა და ფრინველის სულადობის წლიური გეგმები, მეურნეობებს აბლა ჰყავთ 37.731 ცხვრით მეტი, ვიდრე ამას წლიური გეგმა ითვალისწინებს. წლეულს 6 თვეში, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით, საზოგადოებრივ მეურნეობებში ხორცის წარმოება გაიზარდა 2.430 ცენტნერით, რძისა — 2.880 ცენტნერით, მატყლისა — 76 ცენტნერით, გეგმის გადამეტებით მიღებულია 386.287 ცალი კვერცი. შარშანდელთან შედარებით გაიზარდა მეტია ცხვრის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის ნამატი. იმატა პირუტყვის კონდიციამ, შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითღირებულება.

ემზადებიან რა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, დუშეთის რაიონის მშრომელები, რომლებსაც კარგად აქვთ შეგებებული მეტად საჭირო და აუცილებელი საქმის სამთო მეცხოველეობის მკვერთი აღმავლობის მნიშვნელობა, ყოველ ღონეს იხმარენ, რომ თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ მის წარმატებით განხორციელებაში.

ი. გამრეკელი,

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი

ჩვენი ცხოვრების პირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ნათელი მიზანი

განვითარებული სოციალიზმის კანონმდებლური დამკვიდრება

ერთგულად ჩვენს პლანეტაზე საბჭოთა კავშირში აშენებული განვითარებული სოციალიზმი თანამედროვე ეპოქის უმაღლესი მიღწევაა. ამ ეპოქის ანონმდებლურად დამკვიდრებას ისახავს მიზნად სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც საბჭოთა ხალხი სიამაყის გრძნობით უწოდებს განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმის მშენებარე კომუნიზმის კონსტიტუციის პროექტს.

ახლა, როცა სოციალიზმი თავის საკუთარ სათოძველზე ვითარდება, უაღრესად აქტიალური გახდა მისი ისტორიული ადგილის მეცნიერული გამოკვლევა. ამიტომ ჩვენი პარტიის XXIV და XXV ყრილობებმა, სკკკ ცენტრალური კომიტეტის ანგრიალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლებში და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ მთელი მოცულობით დააყენა განვითარებული სოციალიზმის პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის ამოცანა.

ამ პრობლემაზე დიდძალი ლიტერატურა, მონოგრაფიული გამოკვლევებია გამოსული როგორც საბჭოთა კავშირში, ისე სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში. უკმრავი სტატია დაბეჭდილა სსრ კავშირის ეენტრალურ და რეგიონალურ პერიოდიკურ გამოცემებში, გაზეთებსა და ჟურნალებში, კრებულებში, მაგრამ განვითარებული სოციალიზმის პრობლემატიკა მაინც უდიდეს ინტერესს იწვევს. მეათე ხუთწლედში მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად დასახულია: **„გამოვიკვლიოთ განვითარებული სოციალიზმის თეორიული პრობლემები, კომუნიზმად მისი გადაზრდის კანონზომიერებები, მათი მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმი“.**

ამ მიზანს იმსახურება პროფესორ ი. ქობალიას მონოგრაფია **„განვითარებული სოციალისტური საზოგადოება“,** რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა **„საბჭოთა საქართველომ“.**

მონოგრაფიაში მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზეა გაშუქებული ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა მარქსისზმ-ლენინიზმის კლასიკოსები კომუნისტური ფორმაციის ეტაპობრივი განვითარების შესახებ; კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ისტორიული ადგილი; სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება; განვითარებული სოციალიზმის ძირითადი ნიშნები და კომუნიზმში მისი გადაზრდის კანონზომიერებანი. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა სახალხო დემოკრატიის ქვეყანაში.

ეს წიგნი მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც განვითარებული სოციალიზმის თეორიის საკითხების ქართულ ენაზე შედარებით ფართოდ და ღრმად განხილვის პირველი ცდა, არამედ აგრეთვე იმით, რომ მისი გამოსვლა დაუკავშირდა და ხელს უწყობს სსრ კავშირის კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის წარმატებით წარმართვას, ის წლის მანძილზე საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის დიადი შედეგებით წარმოშობილ ახალ შესაძლებლობათა ეფექტიან გამოყენებას, კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი წინსვლის მამოძრავებელი ძალების ახალი გამარჯვებებისათვის დარაზმვას.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პრობლემების გადაწყვეტისადმი მიძღვნილი მონოგრაფია მეცნიერულად ასაბუთებს და ეტაპური შეტევითი ბრძოლისათვის მოგვიწოდებს იმპერიალისტური რეაქციის ideologიური ნიშნების მანძილზე. ეს ეროვნული ბრძოლებისა და ყველა ჯურის ანტიკომუნისტთა წინააღმდეგ, რომლებიც ideologიურ ომს ოფიციალურად წარმოდგენა შექმნან რეალურ სოციალიზმზე, ამ მიზეზებზე, რომლებსაც ანონმდებლურად ამკვიდრებს სსრ კავშირის ახალი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის კონსტიტუცია.

ამასთან, სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ადამიანები მარტონი როდი ვართ: როგორც სსრ კავშირის საკონსტიტუციო კომისია აღნიშნავს, ჩვენი საზოგადოებრივი მოგობრები, პროგრესული მსოფლიო საზოგადოებრიობა მტრების ideologიურ კამპანიას უპირისპირებენ საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის დასაბუთებულ, დამაჯერებელ ანალიზს, და ეს პროექტი სოციალისტური დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის საკუთრივ განხორციელებად მიაჩნიათ.

ამ საერთო ბძოლაში, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი მიგვითითებს, ლენინური სახელმძღვანელო პრინციპია: „ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაში არ შეიძლება იყოს ნეიტრალიზმი და კომპრომისები. აქ საჭიროა პოლიტიკური სიფხიზლე, აქტიური, ოპერატიული და დამაჯერებელი პროპაგანდისტული მუშაობა, მტრის იდეოლოგიურ დივერსიათა დროზე მოგერიება“.

აღნიშნულ მონოგრაფიაში გამოაშკარავებულია კაპიტალიზმის მანიერებანი, იმპერიალიზმის ლობბადი ხასიათი და მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის სათოძველზე დასაბუთებულია განვითარებული სოციალიზმის ოდიდესი უპირატესობანი. აღტორი მდიდარი ციფრობრივი და მეტად სანტერესო თეორიული მასალების საფუძველზე ავლენს სსრ კავშირის, მთელი სოციალისტური სისტემის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ ძლიერებას და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობას.

ეს ყველაზე ძალიან კარგია, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორს მონოგრაფიაში სიმძიმის ცენტრი გადაეკრა სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო ნიშნების დახასიათებაზე და მიზანშეწონილად მიაჩნია წამოაყენოს ასეთი შეხედულებანი: „განვითარებულ სოციალიზმსა და ძირითადად გამარჯვებულ კომუნიზმს შორის არ არსებობს რაიმე ახალი ისტორიული მონაკვეთი, შუალედი საფეხური. ამ აზრით ვამბობთ: სოციალიზმი არასრული კომუნიზმია, კომუნიზმი — ბოლოდგე მიყვანილი სოციალიზმია“ (გვ. 73), „კომუნიზმი სოციალისტური საზოგადოებაა განვითარებული სახით“ (გვ. 77) და ა. შ.

კომუნიზმის ბოლომდე მიყვანილ ან განვითარებული სახის სოციალიზმამდე დაყვანა უმართებულოა. ეს შეცდომა შესაძლებელია უნებლიეთ იყოს, რადგან ავტორი ხაზგასმით წერს, სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის **არსებითი განსხვავებაა,** და იმოწმებს ვ. ი. ლენინის შემდეგ მითითებას: **„პოლიტიკურად განსხვავება კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ და უმაღლეს ფაზას შორის თავის დროზე, ალბათ, დიდი იქნება“.**

განვითარებული სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა უდიდესი ნახტომი იქნება ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალ, უმაღლეს, თვისებრივობაში. სოციალიზმის პრინციპიდან „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“ გადასვლა კომუნიზმის დასავლეთში.

საბჭოთა ადამიანებთან ერთად ამას დიდად ეაფასებთ, ჩვენ მაღაროელები, და ახლა თვითეული ჩვენგანის გულისთქმაა, ახალი კონსტიტუციის შექმნასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო ავამაღლოთ პირადი პასუხისმგებლობა, მეშობის ხარისხი, ხოლო ჩვენი შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილება — **მეათე ხუთწლედის დავალებები შევასრულოთ სამნახევარ წელიწადში** — ეფიქრობ სათანადო პასუხი იქნება მუშათა კლასისადმი ესოდენ დიდი ზრუნვისა და დაფასებისათვის.

გ. კალმახელიძე,

„ჭითურმარგანეცის“ სამთო-მადნო კომბინატის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გვირაბგამყვანი.

მილიონები იწოდებენ

მაღაროელთა გულისთქმა

დიდი ინტერესით გავეცანი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, კონსტიტუციისა, რომელიც ყველაზე დემოკრატიული, ჰუმანური, სამართლიანი იქნება მსოფლიოში. ეს ამანაც განაპირობა, რომ იგი გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის და ამდენად მისი შემქმედი — ჩვენ, მთელი საბჭოთა ხალხიც ვართ. გვეამაყება, რომ „პროექტში ნათლად არის ასახული მთლიანად საბჭოთა ხალხისა და ცალცალკე თვითეულის გულისთქმა, მიზნები, მისწრაფებები. ყოველი მისი სტრიქონი ძვირფასი და ფასდაუდებელია ჩვენთვის, ზრუნვა და დაფასებაა მშრომელი ადამიანების. ამიტომ მიგვაჩნია იგი ჩვენ სტიმულად შემდგომი ნაყოფიერი შრომისათვის.

კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ახლო ხანში ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი გახდება, უფლებას გვანიჭებს და საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო აქტიურად ჩავებათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკის მართვასა და სახელმწიფო აპარატის მუშაობის კონტროლში. ეფიქრობ ეს ცოტა როდია ჩვენთვის. ის, რაც ჩვენთან რეალური გარანტიაა, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე ინატრებდა „თავისუფალ“ დასავლეთში.

საბჭოთა ადამიანებთან ერთად ამას დიდად ეაფასებთ, ჩვენ მაღაროელები, და ახლა თვითეული ჩვენგანის გულისთქმაა, ახალი კონსტიტუციის შექმნასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო ავამაღლოთ პირადი პასუხისმგებლობა, მეშობის ხარისხი, ხოლო ჩვენი შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილება — **მეათე ხუთწლედის დავალებები შევასრულოთ სამნახევარ წელიწადში** — ეფიქრობ სათანადო პასუხი იქნება მუშათა კლასისადმი ესოდენ დიდი ზრუნვისა და დაფასებისათვის.

გ. ბრეგაძე,

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ოსტორიის კათედრის გამგე.

ოფიციალური განცხადება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ განიხილა რუსთავის მეტალურგიული, ქიმიური, ცემენტისა და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნების მუშებს შორის დაავადებისა და ტრავმატიზმის შემთხვევების თავიდან აცილების საკითხი. მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა მ. ხანანაშვილმა.

როგორც კომისიამ აღნიშნა, იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც განახორციელეს ამ საწარმოების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირთა საქალაქო კომიტემ, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ და მისმა საქვეუწყებო სამკურნალო-პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა, საგრძნობლად გაუმჯობესდა ქარხნების მუშაკთა შრომის პირობები, მეტი ყურადღება ეთმობა ტექნიკის უსაფრთხოების წესების დაცვას, მუშებისა და მოსამსახურეების სამედიცინო მომსახურებას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა საერთო და პროფესიული დაავადებებისა და ტრავმატიზმის შემთხვევები. ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო ასიგნებანი ჯანმრთელობის დაცვის საჭირო ღონისძიებებისათვის.

ამასთანავე, ითქვა, რომ დასახელებულ საწარმოთა მთელ რიგ საამქროებში არ არის შექმნილი ნორმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, აღმოუფხვრელი არ არის საწარმო ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების გამომწვევი მიზეზები, საერთო დაავადებების წარმოშობისა და გავრცელების ფაქტორები.

სხდომის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ს. რიგვავამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ მოისმინა ამ კომისიის წევრის დეპუტატ ა. შარაბიძის მოხსენება წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოებისა და ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ.

შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა მდგომარეობა ამ დარგში.

კომისიამ ამასთანავე აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს, რომლებიც რესპუბლიკაში წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ძირითადი მწარმოებელები არიან, არა აქვთ შესაბამისი საწარმოო ბაზა და ამიტომ ვერ ამზადებენ საკმარისი რაოდენობისა და სათანადო ხარისხის ამ ინვენტარს. რესპუბლიკის ტერატორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების მსხვილი საწარმოები ნაკლებად არიან დაინტერესებული ამ დიდმნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოებით. ეს ინვენტარი საჭირო ასორტიმენტით არ შემოაქვს „ცეკავშირის“. მთელ რიგ რაიონებში ცუდად სწავლობენ ამ პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნას.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. გაბუნიამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ განიხილა, თუ როგორ მუშაობენ გეგეჭკორის, ყვარლის, ხაჩხირის, ლაგოდეხის, თიანეთის, ლანჩხუთის, წალენჯიხისა და თეთრი წყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

კომისიამ მოისმინა თავმჯდომარის, დეპუტატ ს. ღუტაშიძის მოხსენება. ამ რაიონების საბჭოებმა, მათმა მუდმივმა კომისიებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, გარკვეული მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, მისი პროდუქტიულობის ამაღლებისა და სახელმწიფოსთვის ამ დარგის პროდუქტების მიყიდვის გეგმის შესრულებისათვის.

ამასთანავე, კომისიის სხდომაზე აღნიშნეს, რომ ამ საქმეში ნაკლოვანებანი იც არის. გაწეული მუშაობა მთლიანად არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. გაბუნიამ.

ნინაღლებში

მხოლოდ მოვალეობა?

დიდია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა და როლი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

კონსტიტუციის პროექტის 66-ე მუხლში ლაპარაკია შვილების აღზრდისა და მათ მომავალზე ზრუნვის შესახებ — „სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის“-ო...

შვილებზე ზრუნვა მარტო მოვალეობაა და მეტი არაფერი? მოვალეობის გარდა კი ხომ უამრავი მორალურ-ფსიქოლოგიური მომენტია. ასე რომ, მშობლების როლი ბევრად აღემატება მოვალეობის და საკრიბოა „უფრო შესატყვისი ფორმულირება გამოეძებნოს 66-ე მუხლს. იქნებ ასეთი: „სსრ კავშირში შვილების აღზრდაზე ზრუნვა მოქალაქეთა მაღალი ღირსების საქმედ ითვლება“. ან „სსრ კავშირის მოქალაქეთა წმიდათაწმიდა საქმეა ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის...“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

ეგვი არ არის, რომ ეს ცვლილება გარკვეულ ტვირთს მისცემს მშობლებს ამ ძირითადი, ცხოვრებისეული სარწმუნოების მოწოდების სიმაღლეზე გადაწყვეტაში.

თ. ნიკოლაიშვილი,

ცეკავშირის მთავარი გამოთვლითი ცენტრის პარტორგანიზაციის მდივანი, განუყოფილების გამგე.

სოფ არ აჯობებდა

ბევაქმს ერთი ასეთი წინადადება. ვფიქრობთ, აჯობებდა ძირითადი კანონის პირველ მუხლში ჩაემატოს ორი სიტყვა „მთელი ხალხის“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის მთელი ხალხის, ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს გამოხატავს“.

ს. კაკაჩიშვილი,

ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს მასწავლებლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი

განიხილავენ, სწავლობენ

თბილისი საშენ მასალათა კომბინატში ხალმიან, ერთსულოვან ვითარებაში განიხილავენ, სწავლობენ სსრ კავშირის კონსტიტუციას.

—

საქართველოს ტელეგრაფი
გაზეთი

მსოფლიოს ამბები

ქვეყნად მშვიდობის ინტერესებისათვის

უცხოეთის პრესა ლ. ი ბრეჟნევისა და ი. ბროზ ტიტოს შეხვედრის შესახებ

მსოფლიო პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ ტიტოს შეხვედრას, აქვეყნებს სიტყვებს, რომლებიც მათ წარმოთქვეს კრემლში. კომენტარში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობა უკანასკნელ წლებში აღმავალი ხაზით ვითარდება და მას სტაბილური, გეგმაზომიერი ხასიათი მიენიჭა.

„ბომრბა“, „პოლიტიკა“, და სხვა იუგოსლავური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ი. ბროზ ტიტოს საბჭოეთის დიდაქალაქში გულითადად შეხვდნენ და გამოთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება ხელს შეუწყობს როგორც ორმხრივი ურთიერთობის, ისე აქტუალური საერთაშორისო საკითხების ფართო და ნაყოფიერ განხილვას.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ბროზ ტიტოს მოლაპარაკება მოსკოვში, ხაზგასმით აღნიშნავს „ბომბა“, უეჭველად სასარგებლო იქნება არა მარტო ორი ქვეყნისა და მათი ურთიერთობის განვითარებისთვის, მათ ფართო საერთაშორისო მნიშვნელობაც ექნებათ. ი. ბროზ ტიტოსა და ლ. ი. ბრეჟნევის ხელმოწერილ შეხვედრიდან გამოვლილ ცხრა თვეში საერთაშორისო სარბიელზე ბევრი ისეთი მოვლენა მოხდა, რომლებიც მოითხოვენ ორ ხელმძღვანელს შორის ახრთა გაზიარებას, რაც უკვე ტრადიციული გახდა. გაზეთი გამოთქვამს რწმენას, რომ სსრ კავშირსა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კიდევ უფრო მეტად განვითარდება ნაყოფიერი და შინაარსიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა.

თავის სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ დაადასტურა სკკპ XXV ყრილობის ხაზი საგარეო პოლიტიკაში, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“. მან გამოთქვა მზადყოფნა გამოიხმაუროს ყოველგვარ კარგ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა თანამშრომლობის განმტკიცებას, ამასთან მხარი დაუჭიროს მას.

უნგრეთის „ნეფსაბადშაგი“ გამოაქვეყნა ლ. ი. ბრეჟნევის გამოსათქვამებს მშვიდობისათვის ბრძოლაში სოციალისტურ ქვეყნებს შორის სოლიდარობისა და თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ.

„ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ გარკვეული იმპერიალისტური წრეებს მიერ გაჩაღებული კამპანია დაახასიათა როგორც კვამლის საბურველი, რომელიც გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპისათვის სჭირდებათ. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა — ეს არის მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკა.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ი. ბროზ ტიტოს შეუძლიათ კმაყოფილებით დაადასტურონ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის კარგი მდგომარეობა, წერს ფრანგული „ფიგარო“. ინგლისური „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ სულ უფრო ღრმავდება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობა.

ლ. ი. ბრეჟნევმა დაგმო, წერს იტალიური „უნიტა“, „ცივი ომის“ სულისკვეთებით გამსჭვალული მტრული პროპაგანდისტული კამპანია, რომელიც გარკვეულმა იმპერიალისტურმა წრეებმა წამოიწყეს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ფინური გაზეთები წერენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა გააკრიტიკა გადაწყვეტილება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ ფრთოსანი რაკეტების წარმოების დაწყებისა და ნეიტრონული ბომბისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი დაწვრილებით ბეჭდავენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირი მზად არის ეძიებოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის ადმინისტრაცია გამოიჩენს მზადყოფნას პრაქტიკულ საქმეებად შეასახოს ხორცი განცხადებებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებისადმი სწორფაზის შესახებ.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული გადაწყვეტილება ფრთოსანი რაკეტების წარმოების დაწყებისა და ნეიტრონული ბომბისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ. ბეჭდავს რა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსს, გაზეთი ამასთანავე დასძენს, რომ „საბჭოთა კავშირი უპასუხებს ყოველგვარ პრაქტიკულ ღონისძიებას, რათა გადაწყვიტოს ახლანდელ უთანხმოებანი“. (საკდესი).

ოქტომბერი ჩვენს ცხოვრებაში

შთამაგონებელი მაგალითი

ბულგარელი ვეტერანი კომუნისტის უგის წიგნაკიდან

პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარში გამოწვიეს და სამუშაოდ სოფიაში გაზეთ „ვოენნოზვესტიას“ სამხედრო სტამბაში გამგზავნეს ასოთამწყობად. 1917 წლის 25 ოქტომბერს — ახალი სტილით 7 ნოემბერს გვიან საღამოს დეპეშა მომიტანეს და მთხოვეს მისი ტექსტი დაუუფენელივ ამეწყო. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთში გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლუციამ.

მე უმალვე სხვა ასოთამწყობებთან გავიქეცი და მთელი ხმით შევძახე: „გაუმარჯოს რუსეთის დიდ პროლეტარულ რევოლუციას!“. ამხანაგებს გამოერბა აღარ დასჭირებიათ და ერთხმად მიპასუხეს: „გაუმარჯოს!... გაუმარჯოს რევოლუციას!“...

მაშინ 37 წლისა ვიყავი. ახლა კი 97 წლისა ვარ. და მაინც ყოველთვის ვფიქრობ, როცა იმ დღეებს ვიგონებ, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიო რომ შესძრა. 1917 წლის 7 ნოემბერი დაუვიწყარი ისტორიული თარიღია კაცობრიობისათვის.

ასოთამწყობად მუშაობისას საშუალება მქონდა ყურადღებით მედევნებინა თვალი რევოლუციის შემდეგ საბჭოეთის ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისათვის. ბულგარელმა კომუნისტებმა გადახედეს თავიანთ ტაქტიკას, რუსეთის პროლეტარიატის გამოცდილების შესწავლით დიდმნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთეს.

ამ დღეებში დიდმა თუ პატარამ შეიტყო, თუ ვინ იყო ლენინი. ბედნიერება მხვდა წილად 1908 წელს, როცა ფენეკვში შევხვდი და დიდხანს ვესაუბრე ვლადიმერ ილიას ძეს. მან მირჩია შემესწავლა „კომუნისტური მანიფესტი“, გამომეყენებინა თეორია ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საუბრის დასასრულ ლენინმა ცხოვრებაში ბედნიერება მისურვა...

საბჭოთა კავშირში სამჯერ ყოფილვარ, 1931 წელს გ. დიმიტროვთან ერთად პროფინტერნის კონგრესის დელეგატი ვიყავი. ყველაზე დიდი ლენინგრადელ, მოსკოველ, გორკელ ჰსოთამწყობებს. მოვუთხრობდი ბულგარეთში არსებული ვითარების თაობაზე, იმის შესახებ, თუ როგორ ჩაღდებოდა ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლა, თუ როგორ გვეხმარებოდა ამ ბრძოლაში რუსი მუშების მაგალითი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და მის შემდეგაც მუდამ ერთიან მწყობრში იდგა ბოლშევიკების პარტიასთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. დღეს ბულგარელი ხალხი საბჭოთა ხალხთან, დიდ საბჭოთა ქვეყანასთან — ყველა ჩაგრულთა ქომაგთან, ჩვენს ბურჯთან და დროშასთან ერთად რწმენით უყურებს მომავალს.

60 წელი გავშორებს ისტორიულ 1917 წელს, მაგრამ ასე მგონია, თითქოს ახლაც მესმის ლენინის ხმა. მისი საქმე მარად იცოცხლებს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილებიდან ბევრ საყურადღებოს ისწავლის პლანეტის ყველა ხალხი.

იორდან მილევი,
ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი, ბულგარეთის კომპარტიის წევრი 1897 წლიდან.

ს. ვენსი ჩინეთში მიემგზავრება

ვაშინგტონი, 18 აგვისტო. (საკდესი). კენამ-დევიდში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან თათბირი გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი ჩინეთში მიემგზავრება და იქ იქნება 22-26 აგვისტოს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის სიტყვით, სახელმწიფო მდივნის მისია „გაცნობის“ მიზნით იწყობა და ამიტომ, როგორც ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, მისგან არ უნდა მოელოდნენ არსებითს ძვრებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობაში.

ამასთან დაკავშირებით ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის მთავარ პრობლემად რჩება ტაივანის პრობლემა. შეერთებული შტატები ალბა უჭერს მხარს ტაივანის რეჟიმს ეგრეთ წოდებული „ორმხრივი თავდაცვის“ ხელშეკრულების შესაბამისად. ტაივანში ახლაც არის ამერიკის სამხედრო კონტინგენტი.

ეს საინტერესოა

უჩვეულო მარშრუტით

1541 წელს ესპანელმა კონკისტადორმა ფრანსისკო დე ორელიანამ, რომელიც ეკვადორის ქალაქ გუაიაკილიდან გავიდა, ანდები გადაკვეთა და აღმოაჩინა სამხრეთ ამერიკის ყველაზე წყალუხვი მდინარე ამაზონკა. შემდეგ ორელიანამ ხომალდებით გადაესერა ატლანტის ოკეანე და ესპანეთში დაბრუნდა. დღეს 435 წლის შემდეგ, ცნობილმა ესპანელმა მოგზაურმა ვიტალ ალსარმა ორელიანას მარშრუტის განმეორება გადაწყვიტა. ექსპედიციის მონაწილეები, რომლებიც იმავე საშუალებებს გამოიყენებენ, რომლებიც XVI საუკუნეში ჰქონდათ, ივლიან ფეხით, ჯორებით და გასცურავენ დაახლოებით 18 ათას კილომეტრს, რასაც 6-7 თვეს მოანდომებენ.

ექსპედიცია უკვე გაუდგა გზას ექვსი ტივით გუაიაკილიდან ბაბაიონში. აქედან ფეხით და ჯორებით იგი გავმართავს ეკვადორის დედაქალაქ კიტოში, რომელიც ზღვის დონიდან 2.800 მეტრზე მდებარეობს. შემდეგ ექსპედიციის მონაწილეები დაეშვებიან ჯუნგლებში, მიაღწევენ მდინარე კოკას და ჩასხდებიან სამ გალეომში (გემები, რომლებიც ძველი იალქნიანი ნავების ზუსტი პირია). ამ გემებით ექსპედიცია გადავლის ნაპოსა და ამაზონკას, შემდეგ კი ბრაზილიის მაპაკის ნავსადგურიდან ატლანტის ოკეანეში გავლენ. ექსპედიციის ბოლო პუნქტი ესპანეთის სანტანდერის ნავსადგურია.

გუაიაკილიდან გასვლის წინ ვიტალ ალსარმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ექსპედიციის მონაწილეები მეცნიერულ მიზნებს ისახავენ. ექსპედიციის მსვლელობაში გამოიკვლევენ გარემოს და მედიცინის თვალსაზრისით დაკავშირებიან ადამიანის ქცევას ესოდენ უჩვეულო პირობებში. ორელიანას გალეონებისაგან განსხვავებით ალსარის გემები აღჭურვილია რადიოპარატურით. ვ. ალსარი დარწმუნებულია, რომ ეს ექსპედიცია წარმატებით დამთავრდება.

ს. კუდრიავსკი,
საკდესის კორესპონდენტი.

„პიმეტას“ დასაცავად

რომი. (საკდესი). ხარაჩოებით შეიმოსა რომის წმინდა პეტრეს ტაძრის ერთ-ერთი კიბელა, სადაც მიქელანჯელოს შესანიშნავი ქანდაკება „პიეტა“ ინახება. აქ დასასრულს უახლოდება სამუშაოები სპეციალური ტყვიაგაუმტარი მინის დასადგმელად, რომელიც ახლა მთელ კიბელას დაფარავს. მინის სისქე ორი სანტიმეტრია. იგი დამზადებულია იგივე მეთოდით, როგორითაც კოსმოსური ხომალდის „აპოლონის“ ილუმინატორების მინები. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ, მას შემდეგ, რაც ვიღაც გიჟმა ჩაქუჩით სერიოზულად დააზიანა გენიალური ნაწარმოება, ქანდაკების წინ დიდგა მინის პატარა ფარი. ახლა ვატიკანის ხელისუფლებამ გადაწყვიტეს უფრო საიმედოდ დაიცვან მიქელანჯელოს შედევრი შესაძლებელი დაზიანებისა და ვანდალიზმის აქტებისაგან.

გულგარელებმა ტანი აიყარეს

უკანასკნელ ათ წელიწადში ბულგარელთა საშუალო სიმაღლე კვლავ გაიზარდა. ამას მოწმობს ამას წინათ ჩატარებული კვლევის შედეგები, იუწყება სოფია პრესსის საგენტო. 10 წლის წინათ 18-დან 60 წლის ასაკამდე მამაკაცთა საშუალო სიმაღლე ზოგიერთ გამოკვლეულ რაიონში 171 სმ იყო, ქალებისა — 159,6 სმ. ახლა ამ სიმაღლისა არიან 15-16 წლის ჭაბუკებიც 85 პროცენტი და 14 წლის გოგონების 75 პროცენტი.

სპეციალისტთა აზრით, ბულგარელი ახალგაზრდები 6 სმ-ით მაღლები არიან, ვიდრე მათი იტალიელი, ესპანელი, ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი და ბერძენი თანატოლები.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲗ

ახია მაგაზე!

ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

იცით პატარა საკურორტო ქალაქში, როგორიც ბორჯომია, ადგილობრივი მკვიდრნი კარგად იცნობენ ერთმანეთს, იმდენად კარგად, რომ, თუ რაიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო მოხდა რომელიმე მათგანის ცხოვრებაში, მალე მთელ კურორტს მოვდება და განხიანდება ხოლმე.

უკანასკნელი პერიოდის ასეთ განხიანებულ ამბავთა შორის პირველ რიგში უთუოდ რეკორდ ხერხეულიძის ამბავს დაგვისააველებენ. ახლა ცოტა მომეზრდათ ამაზე ლაპარაკი, თორემ ამ რამდენიმე თვის წინათ ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე.

— კაცო, გაიგეთ რეზო ხერხეულიძეს რა მოსვლია?!

— რომელ რეზოს?

— აი იმას, ლიკანის სანატორიუმში რომ მუშაობს რენტგენოლოგად.

— კი, ეიცი. რაო, რა მოუვიდა?

— დაუპატიმრებიათ, კაცო, ციხეში ჩაუსვამთ ექიმი კაცი.

— ექიმობა რას უმეცრის თუ რამე დააშავა ჩასვამდნენ, მა ეხათრიბდნენ?

— ჰოდა, სამი წელი მიუსჯიათ.

— რისთვის, რა დაუშავებია?

— რა ვიცი, ამბობენ უფროსობასთან დავა მოსვლია, ცოლი დაუწამებია და არ აპატიესო.

— ეს ამბავი მე მკითხეთ, სასამართლო პროცესს ვესწრებოდი, ჩემი ყურით მოვისმინე ყველაფერი, — ჩაერია ლაპარაკში მესამე. — ეგ შენი ხერხეულიძე დიდი შარლანი და ენამოსილი კაცი ყოფილა, სხვები უნდოდა დაეჭერინებინა, მაგრამ თვითონ გაეცა თავისივე დაგებულ მახეში ორივე ფეხით.

— შენ უკეთ გცოდნია, როგორ იყო გკიამე? ერთი დალაგებით, თუ კაცი ხარ. — დაინტერესდნენ აქეთ-იქიდან მსმენელები.

— ეგ ჯერ ადრე სანატორიუმ „ლიკანში“ მუშაობდა რენტგენოლოგად. ჰოდა, ამ ათი წლის წინათ შტატების შემცირების გამო სამუშაოდან გაუთავისუფლებიათ. ყველაფერი კანონის ფარგლებში მომხდარა. სამუშაოც შეუთავაზებიათ სხვა ადგილას, მაგრამ არ დაყაბულებულა. ამდენარა და უჩიელია. თბილისიდან ჩამოსულა კაცი, კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს სამედიცინო განყოფილების გამგის მოადგილე. შეუმოწმებია საჩივარი და დასკვნაც დაუწერია, რომ ხერხეულიძე სწორად არის განთავისუფლებული და მისი სარჩივარი უსაფუძვლოაო. თანაც დასკვნაში ისიც ჩაუწერია, რომ, თუმცა სატარიფო გაიაკვეთი არ ითვალისწინებს, მაგრამ მიზანშეწონილად მიმაჩნია „ლიკანში“ როგორც ექსპლოატაციო ტექნიკურმა ერთეულმა დანიშნულებისა. ბევრი სიჩუქეა, ეს ადგილობრივი ექიმი ამ ადგილებში ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. ეს ადგილობრივი ექიმი ამ ადგილებში ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. ეს ადგილობრივი ექიმი ამ ადგილებში ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. ეს ადგილობრივი ექიმი ამ ადგილებში ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. ეს ადგილობრივ ექიმ

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

გ. გოგოხია — „ამთიბავები“

(ზალის რაიონი ულიანოვის მეურნეობაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს თიბვა და სანაფოს ჩაღება).

უნივერსიადის ფეიერი

სოფიაში დაიწყო სპორტსმენ სტუდენტთა მსოფლიო ფორუმი

სოფია. (საკუთარი სპეც. კორ.). 17 აგვისტოს სოფიაში საზეიმოდ გაიხსნა უნივერსიადა-77. მსოფლიოს სტუდენტურ ასპარეზობაში მონაწილეობენ თითქმის 90 ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენები. მათ შორის ბევრია სახელგანთქმული სპორტსმენი, ოლიმპიადების, მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი.

სტუმართმოყვარე ბულგარეთი მეორედ მასპინძლობს ხუთი კონტინენტის ახალგაზრდა წარმომადგენლებს. 1977 წლის უნივერსიადისათვის დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს.

...საღამოს ბულგარეთის დედაქალაქის ათიათასობით მცხოვრები, ქვეყნის 28 ოლქის მშრომელები, აგრეთვე მრავალი ხაზღვარგარეთელი ტურისტი შეიკრიბნენ ლამაზად მორთულ ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონის ტრიბუნებზე. სპორტი სტუმართა შორის იყო „ოლიმპიადა-80“ საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია.

...სტადიონზე შეკრებილი მაყურებლები წუთით გაირინდნენ. გაისმა ფანფარების ხმა და სარბენ ბილიკზე გამოვიდნენ მედროშენი — გაიმართა ასპარეზობის მონაწილეთა საზეიმო პარადი.

ძველებური სტუდენტური ჰიმნის „გაუდეამუს იგიტურის“ ხმაზე აინთო უნივერსიადის ჩირაღდანი.

შემდეგ სტუდენტური სპორტის ფორუმის მონაწილეებმა ფიცი დადეს.

ფურცელ

მსოფლიო რეკორდები

ეინდჰოვენი (შვეცია). ევროპის ჩემპიონატის მეორე დღე ორი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენმა 17 წლის ჰერალდ მარკემ 100 მეტრი ბრასის სტილით დაფარა ირნახულ დროში — 1 წუთსა და 02,86 წამში. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთა შორის ერთბაშად ორმა სპორტსმენმა გადაამეტა მსოფლიო რეკორდს — პეტრა ტიუმერმა (გდრ) და ანელის მასმა (ჰოლანდია). ოლონდ ტიუმერის დრო — 4.08,91 სულ რაღაც 0,49 წამით უკეთესია მეტოქის შედეგზე.

შესანიშნავად ისპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა კომპლექსურ ცურვაში. 400 მეტრზე კონტინენტის უძლიერესის საველი დაიმსახურა კრეიფორდელმა სერგი ფესენკომ — 4.26,83 (სსრ კავშირის ახალი რეკორდი). მეორე იყო ლენინგრადელი ანდრია სმირნოვი. ვერცხლის მედალი მოიპოვა აგრეთვე მისმა თანაქალაქელმა და სეხნაამ კრილოვმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, რომელმაც 0,25 წამი წაიგო ევროპის ახალ ჩემპიონთან პეტერ ნოვესთან (გდრ).



ᲕᲮᲝᲠᲪᲘ

გ. ბოგოხია — „ᲐᲛᲗᲘᲑᲐᲕᲔᲑᲘ“

(ᲖᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲥᲐᲠᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲗᲘᲑᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲤᲝᲡ ᲩᲐᲦᲔᲑᲐ).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲡ“ ᲡᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ იყო, რომ უეფას თასზე მილანის „ინტერნაციონალეს“ თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ უნდა ეთამაშა 14 სექტემბერს თბილისში, ვ. ი. ლენინის ცენტრალურ სტადიონზე. ეს გადაწყვეტილება შეცვალა უეფას სამდივნომ და **ᲐᲛ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐ 14 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ.**

„ინტერნაციონალეს“ ხელმძღვანელობა თბილისელებთან მატჩებისათვის ყოველმხრივ ემზადება.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ერთ-ერთი მწვრთნელი ესწრებოდა, რომელმაც დინამოელთა ორივე მატჩის ვიდეოჩანაწერი გადაიღო. ოთხშაბათს, 17 აგვისტოს კი მილანიდან თბილისში ჩამოვიდნენ „ინტერნაციონალეს“ გენერალური ხელმძღვანელი ჯენ კარლო ბელტმანი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი საორგანიზაციო საკითხებში პიზაპია.ჯოიენი და მოსკოვის არმიელებთან თბილისის დინამოელთა თამაშს დაესწრნენ. სტუმრები, ამასთანავე დაინტერესდნენ, თუ რა საყოფაცხოვრებო პირობებს შეუქმნიან თბილისელები „ინტერნაციონალეს“ ფეხბურთელებს 28 სექტემბრის მატჩისათვის.

გუშინ იტალიელი სტუმრები მილანში გაფრინდნენ.

ᲒᲐᲛᲘᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘ�გᲐ

მდგომარეობა 19 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	17	7	9	1	25-8	23
„დინამო“ მბ.	17	7	8	2	26-16	22
„დინამო“ მ.	17	5	10	2	19-12	20
„შახტიორი“	17	7	6	4	18-11	20
„ტორპედო“	16	6	8	2	16-11	20
„ლოკომოტ.“	15	5	9	1	14-9	19
„არარატი“	17	6	7	4	17-14	19
„ზენიტი“	17	4	9	4	12-13	17
„ჩერნომ.“	17	6	4	7	19-21	16
„კირატი“	17	3	11	3	14-16	16
„დნეპრი“	17	6	4	7	15-20	16
„ნეფტჩი“	17	3	9	5	15-22	15
ცსკა	16	1	11	4	13-22	13
„ზარია“	17	4	4	9	14-14	12
„კარპატი“	17	2	8	7	12-18	12
„კრ. სოვ.“	17	1	5	11	10-32	7

მეჩვიდმეტე ტური აღსანიშნავი გამოდგა იმით, რომ პირველი დამარცხება იწვნია გათამაშების ლიდერმა — კიევის „დინამომ“. ჩემპიონატის ბომბარდირთა ხიალ სათავეში უდგას თბილისის დინამოელი დ. უფიანი — 11 ბურთი, მეორე ადგილზეა მისი კიეველი თანაკლუბელი ო. ბლოხინი — 8 ბურთი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ

19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „გაიდარი პერმში“, „როდესაც სიტყვებს ვუსმენ“, 11.30 — სატელევიზიო ფილმი — სპექტაკლი „ძაღვ მაკლერი“, 17.00 — ბავშვებისათვის — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი — „მეტს აღარ ვიზამ“. ფერადი, 18.10 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“ № 8 (ფერადი), 18.20 — განცხადებები, 18.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ნიილავი“, 18.45 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის „მეგობრობა გზად და ხიდად“ — დ. კოსარიკი, 19.15 — „უნივერსიადა-77“ (ფერადი, ბულგარეთიდან), 20.00 — „საუკუნის უდიდესი მოვლენა“ — სალვადორის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ შაფიკ ხორსე ხანდალის ინტერვიუ (ფერადი, მოსკოვიდან), 20.15 — „ᲗᲝᲛᲐᲛᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — „განვიხილავთ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს“ (ფერადი, მოსკოვიდან), 21.00 — ჩვენი ბიოგრაფია. 1964 წელი“. (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან“ — ი. ზბარსკი, 22.45 — მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედება“, 23.50 — „უნივერსიადა-77“ — (ფერადი, ბულგარეთიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი ვიქტორინა“ (ფერადი), 18.40 — განცხადებები, 18.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩქეფზე“.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ᲒᲐᲛ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პ. № 2).

20 ᲓᲐ 21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა (უმაღლესი ლიგა)
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მოსკოვი)
20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲘᲡ — სათადარიგო შემადგენლობა
21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ — ძირითადი შემადგენლობა
დასაწყისი 20 ს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-1978 სასწავლო წლისათვის

საბუნებისმეტყველო, კვანძსაზომრის, საბეჭდ მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, ელექტრონიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, საზღვაო ფლოტის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის ტრანსპორტის, მსუბუქი, კვების, პოლიგრაფიის, მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის პროფესიების მიხედვით.

მუნიციპალობის, კვანძსაზომრისა და საბეჭდ მრეწველობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

№ 7 — ქ. ბორჯომი, ინტერნაციონალის ქ. № 6, ტელ. 22-97; № 17 — ქ. რუსთავი, კიროვის ქ. № 1, ტელ. 12-17-76, № 18 — ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 1, ტელ. 37-12-33; № 21 — ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189, ტელ. 6-29-38; № 22 — ქ. ტყვარჩელი, ლაკობას ქ. № 4, ტელ. 27-18; № 25 — ბოლნისი რაიონი, დაბა კაზრეთი; № 28 — ქ. სამტრედია, გეგეშიძის ქ. № 26, ტელ. 38-09; № 44 — ქ. ბათუმი, ლენინიძის ქ. № 2, ტელ. 99-65-28; № 45 — ქ. სოხუმი, ძერჟინსკის ქ. № 19, ტელ. 2-33-63; № 54 — ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47; № 61 — ქ. რუსთავი, ლომოურის ქ. № 6, ტელ. 12-60-90, საბჭოთა კავშირის გმირის აკაკი ბუკიას სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 62, ქ. ზუგდიდი, კოლოლოვის ჩიხი № 3, ტელ. 32-37; კაპიტან ბუხაიძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 63 — ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ტელ. 73-04-90; № 68 — დაბა ვანი, მშვიდობის ქ. № 7, ტელ. 3-78; № 69 — დაბა მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 21, ტელ. 29-86, № 70 — ქ. მარნეული; № 89 — ქ. მცხეთა, საგურამოს ქ. № 4.

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

№ 19 — ქ. ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 42, ტელ. 26-93; № 20 — ქ. ჭიათურა, გაგარინის ქ. № 2, ტელ. 32-26; № 71 — ქ. თბილისი, მარეულის ქ. № 12, ტელ. 71-94-43.

ტექნიკური სასწავლებლები:

№ 26 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-44-01; № 46 — ვალის რაონი, სოფელი საბერეო; № 58 — ქ. სოხუმი, ეაკა-ფშაველას ქ. № 7, ტელ. 2-71-63; № 78 — ქ. ცხინვალი, გმირთა ქ. № 35, ტელ. 62-60; № 87 — დაბა თერჯოლა, სილიკატური აგურის ქარხნის ტერიტორია, № 105 — ქ. ბათუმი, ლენინიძის ქ. № 2, ტელ. 99-65-28; № 108 — ქ. თბილისი, ვაჟიანი დასახლება, ქერჩის შესახვევი № 3, ტელ. 62-12-06.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ზეინკალ-სანტექნიკოსის, ელექტროაირშემდუღებელის, მღებავის, დურგლის, ხეროს, კონსტრუქციის მემონტაჟე-კალატოზის, მეგობარ-მომპირკეთებლის, მეფილის, ქვაზე და ხეზე ჭრის, ელექტროშემდუღებელ-მეორმატურის, ელექტრომემონტაჟის, ამწის, ექსკავატორის მემანქანის, გვირაბგამყვანის მბურღავის და სხვა პროფესიებს.

მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და ელექტრონიკის პროფესიებში კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

ადმირალ ისაკოვის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 1 — ქ. ბათუმი, მარქსის ქ. № 2, ტელ. 3-36-40; № 4 — ქ. ქუთაისი, იტალიანური ტერიტორია, ტელ. 6-95-73; საბჭოთა კავშირის გმირის შოთა ამაღლობის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 5 — ქ. თბილისი, ართვინის ქ. № 53, ტელ. 95-23-72; შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 6 — ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 1, ტელ. 66-09-95; № 8 — ქ. წულუკიძე, ლენინის ქ. № 38, ტელ. 3-77; № 69 — დაბა მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 21, ტელ. 29-86; № 95 — ქ. თბილისი, კომკავშირის მეორე ქ. № 22, ტელ. 74-22-91;

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი:

№ 47 — ქ. გარდაბანი, ელადგურის დასახლება, ტელ. 95-14-01 დამატ. 23-26.

ტექნიკური სასწავლებლები:

№ 26 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ, ტელ. 66-44-01; № 32—ქ. თბილისი, ახალქალაქის ქ. № 2, ტელ. 99-42-32; № 33 — ქ. ქუთაისი, შეკინკოს ქ. № 12; ტელ. 6-40-47; საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის ტექნიკური სასწავლებელი № 38 — ქ. თბილისი, კომკავშირის მეორე ქ. № 22, ტელ. 74-22-91; № 49 — ქ. თბილისი, გორგასლის ქ. № 115, ტელ. 72-11-83; საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი ბილახშვილის სახელობის ტექნიკური სასწავლებელი № 51 — ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, ტელ. 66-18-29; № 60 — ქ. თბილისი, წერეთლის პრ. № 139, ტელ. 66-72-59; № 79 — ქ. თბილისი, დიდმასივი „გამწვანების მშენებლობის“ ტერიტორია, ტელ. 51-06-05; № 97 — ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. № 3, ტელ. კომუტატორი 31-25-21, დამატ. 84.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ხარატის, მღარავის, საამწყობო-მექანიკური სამუშაოების ზეინკლის, შემკეთებელ-ზეინკლის, ელექტრომონტიორის, ელექტროშემდუღებლის, ზეინკალ-ელექტრომემონტაჟის, ზეინკალ-მეინსტრუმენტის, მტვიფრავის, მიკროსქემების ამწყობის, ელექტრომემონტაჟი-ელექტრომეტრიული პარამეტრების გაზომვის და სხვა პროფესიებს.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროფესიებში კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

№ 2 — ყვარლის რაიონი, სოფელი ენისელი; № 9 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55, ტელ. 4-04; № 10 — გარდაბანი, საბჭოს ქ. № 108, ტელ. 95-14-01 დამატ. 27-01; № 13 — გორჯაანის რაიონი, სოფელი ეფლისციხე, ტელ. 4-74; № 14 — დაბა სურამი, სარაჯიშვილის ქ. № 6, ტელ. 2-12; № 15 — გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი, ტელ. 9-72-62; № 30 — ხობის რაიონი, სოფელი ნოჯიხევი, ტელ. 25-13; № 40 — დაბა ქარელი; № 83 — ცხინვალი, ცხავაიას ქ. № 26; № 84 — ქ. აბაშა, რუსთაველის ქ. № 30, ტელ. 19-05; № 88 — ლაგოდეხი, სოფელი შრომა, ტელ. 22-07; № 89 — მცხეთა, საგურამოს ქ. № 4; № 91 — დაბა ცაგერი; № 101 — ქ. ახალციხე; № 102 — ქ. გალი, № 103 — ზუგდიდის რაიონი, სოფ. ეკბათი.

სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

№ 50 — გალის რაიონი, სოფელი ხუმუშკური; № 72 — წითელწყაროს რაიონი, სოფელი ჯაფარიძე, ტელ. 28-26; № 73 — დაბა თიანეთი, ტელ. 11-12; № 77 — ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი; № 82 — ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46, ტელ. 24-25; ახალქალაქის № 82 სასწავლებლის ბოგდანოვკის ფილიალი.

სოფლის ტექნიკური სასწავლებლები:

№ 85 — გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა, № 93 — დაბა ჩოხატაური, სოფელი ერკეთი, № 96 — წულუკიძე, ლენინის ქ. № 55, ტელ. 4-04; № 98 — დაბა წალკა, ტელ. 26; № 106 — გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ფართო პროფილის და მესამე კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის, მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორის, ექსკავატორის მემანქანის, ავტომობილების, ტრაქტორების და სოფლის მეურნეობის მანქანების შემკეთებელი ზეინკლების, ბულდოზერის, გრეიდერის მემანქანის, სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორისა და სხვა პროფესიებს.

კვების, პოლიგრაფიის, მსუბუქი, ფეხსაცმლის მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

№ 23 — ქ. თბილისი, ტრაკტორის ქ. № 3, ტელ. 66-19-55; № 24 — ქ. თბილისი, ა. წერეთლის პრ. № 134, ტელ. 66-09-75; ზოია რუხაძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 36 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 108, ტელ. 62-41-39; თინა ოოსტროძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 39 — ქ. გორი, ბესიკის ქ. № 2, ტელ. 21-53; № 52 — ქ. თელავი, საკაძის ქ. № 3, ტელ. 18-91; საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ ჩანჩიბაძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი; № 53 — მახარაძის რაიონი, სოფელი ლეხაური, ტელ. 6-18-61; № 64 — ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. № 4, ტელ. 27-35; საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე წურწუმიას სახელობის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი № 66 — ქ. ცხინვალი, ლენინის ქ. № 21, ტელ. 2-20-27; № 67 — ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189, ტელ. 6-39-67; ოქინსკის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 75 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ქერჩის შესახვევი № 3, ტელ. 62-12-06; საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ ლესელიძის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 80 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ტელ. 62-04-98, ქართულ-რუსული საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი № 107 — ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-21-20.

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი:

№ 37 — ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 93-ა, ტელ. 5-35-03;

ტექნიკური სასწავლებლები:

№ 27 — ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. № 6, ტელ 74-34-57; № 29 — ახალციხის რაიონი, დაბა ვალი, სტალინის ქ. № 28-ა, ტელ. 4-17; № 34 — ქ. თბილისი, კამოს ქ. № 68, ტელ. 95-34-24; № 35 — ქ. თბილისი, კალინინის ქ. № 60, ტელ. 95-62-38; № 41 — ქ. თბილისი, მოსკოვის პრ. № 19, ტელ. 71-11-50; № 42 — ქ. ქუთაისი, კოსმონავტების ქ. № 65, ტელ. 6-87-11; № 43 — ქ. თბილისი, ხუთწლედის ქ. № 65, ტელ. 66-16-62; № 74 — ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10; ტელ. 71-21-20; № 76 — ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84, ტელ. 2-62-60; № 86 — ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. № 3; ტელ. 19-24-82; № 90 — ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 159; № 92 — სამტრედიის რაიონი, სოფელი კოლაში.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

მჭედლის, მრთველის, კაცისა და ბავშვის ტანსაცმლის და პალტოს მკერავის, ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავის, მკერავ-მოტორისტის, პარ-ფუნთუშეულის მცხობელის კონდიტერის, რადიოსატელევიზიო აპარატურის მომსახურე შემკეთებელი რადიომექანიკოსის, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ელექტრომოწყობილობათა შემკეთებელი ელექტროზეინკლის, მსუბუქი ავტომანქანების შემკეთებელი ზეინკლის, ფოტოგრაფის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამყიდველის, მზარეულის, ხორცის გადამმუშავებლის, ამწყობი ლინოტიპისტის, ღრმა ბეჭდვის მბეჭდავის, ოფსეტური ბეჭდვის მბეჭდავის, ამკინძავის და სხვა პროფესიებს.

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

№ 3 — ქ. რუსთავი, ტაქვენტის ქ. № 7, ტელ. 12-69-96; № 16 — ქ. რუსთავი, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ტერიტორია, ტელ. 19-21-56; № 99 — ქ. ზესტაფონი, ფეროშენადნობთა ქარხნის დასახლება.

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი:

№ 20 — ქ. ჭიათურა, გაგარინის ქ. № 5, ტელ. 32-26.

ტექნიკური სასწავლებლები:

№ 94 — ქ. რუსთავი, ტაქვენტის ქ. № 7, ტელ. 12-69-83; ქართულ-რუსული № 104 — ქ. რუსთავი, ნ. ნიკოლაძის ქ. № 3, ტელ. 12-06-90.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

მეტალურგიული წარმოების ამწის მემანქანის, მეფოლადეს დამხმარის, მეტალურგმდნობელის, ელექტროშემდუღებლის, ელექტროზეინკლის, ელექტროქიმიკოსის, ქიმიური წარმოების ფართო პროფილის მეაპარატის, მგრეხავის, ქიმიური წარმოების ტექნოლოგიური პროცესის კონტროლიორის, ძაფის გადამხვევლისა და სხვა პროფესიებს.

საზღვაო ფლოტის, რკინიგზის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

ადმირალ ისაკოვის სახელობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი № 1 — ქ. ბათუმი, მარქსის ქ. № 2, ტელ. 3-36-40; № 12 — ქ. ფოთი, ტაბიძის ქ. № 12, ტელ. 11-12.

ტექნიკური სასწავლებლები:

ლენინური კომკავშირის სახელობის ტექნიკური სასწავლებელი № 31 — ქ. თბილისი, ოქტომბრის ქ. № 104, ტელ. 66-79-62; № 65 — ქ. თბილისი, ნ. ნარიმანოვის ქ. № 8, ტელ. 72-44-44.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

საზღვაო ფლოტის პირველი კლასის მეზღვაურის, გემის პირველი კლასის მოტორისტის, გემის მემონტაჟე ზეინკლის, გემის ყორპუსის ამწყობის, ელმავლის მემანქანის თანაშემწის, მოძრავი შემადგენლობის ელმავლის შემკეთებელ-ზეინკლის, სადგურის მორიგის, ვაგონის გამცილებლის, მრჩილავ-მეკაბელის, ტელეგრაფისტის, ტელეფონისტის, კავშირგაბმულობის ოპერატორის და სხვა პროფესიებს.

კურსდამთავრებულები მიღებული პროფესიის მიხედვით განაწილებული იქნებიან საბაზო ორგანიზაციების საწარმოებში და მიიღებენ ხელფასი მინიჭებული თანრიგისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

სასწავლებლებში ახალგაზრდების ჩარიცხვა წარმოებს მიმღები კომისიის სხდომებზე გასაუბრების გზით და ატესტატში ნაჩვენები ნიშნების გათვალისწინებით. ამ პროფესიებზე ჩასარიცხავად, რომლებიც რომელიმე საგნის უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს, ეწყობა გამოცდა. მოსე თოიძის სახელობის თბილისის № 11 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლში გამოცდები მოეწყობა ხატვასა და კომპოზიციაში.

სასწავლებლში ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ ახალგაზრდებს, რომლებსაც სასწავლებლად საგზურებით გზავნიან საბაზო ორგანიზაციები, წარმოებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, კოოპერაციული ორგანიზაციები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულებს, საბაზო ორგანიზაციებში მომუშავეთა შვილებს, ობლებს, საბავშვო სახლის აღზრდილებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდების შვილებს.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან სწავლების შემცირებული ვადის ჯგუფებში (8-10 თვე) და სწავლების მთელ პერიოდში იძლევიან გადიდებული სტიპენდია (65-90 მან.).

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან 15-17 წლის 8 კლასის განათლების მქონე გოგონები და ვაჟები. ჩვეულებრივ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 15-20 წლის ახალგაზრდები, ხოლო ტექნიკურ სასწავლებლებში — 17-25 წლის საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

ჩარიცხული ახალგაზრდები, რომლებიც არ გამოცხადდებიან მიცვალებინებაზე უმიზეზოდ 10 დღის განმავლობაში, სასწავლებლებიდან გაირიცხებიან.

მოსწავლეებს სასწავლებლებში სწავლის მთელი პერიოდი უწყვეტ შრომის სტაჟად ითვლებათ.

სასწავლებლებში სწავლა უფასოა. გარდა ამისა, ქალაქის საშუალო და პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სპეციალურ ტანსაცმლით, ხოლო სოფლის საშუალო და პროფტექნიკურ სასწავლებლებში — კვებით, ტანსაცმლით, სპეციალურ ტანსაცმლით და სტიპენდიით.

ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში კარგი აკადემიური წარმატება ექნებათ, მრეწველობის დარგების შესაბამისად მიიღებენ სტიპენდია თვეში 30-37 მანეთის ოდენობით, ხოლო ფრიდოდსან მოსწავლეებს 25 პროცენტით მეტი.

გარდა ამისა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ყველა სასწავლებლის მოსწავლეს მიეცემა საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი, საფეიერო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის და მეტალურგიის პროფესიებში კი 50 პროცენტი.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლობენ ვაჟები 3 წელია, ხოლო ჩვეულებრივ პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში — 1-2 წელი.

**საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს იძლევიან დიპლომი საშუალო განათლების დამთავრებისა და პრო